კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise

კავკასიის ეკონომიკის ყოველთვიური მიმოხილვა

თებერვალი 2025



2023 წელს კავკასიის ეკონომიკის ზრდა 4.4% იყო. 2023 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება, რუსეთიდან ადამიანური და ფინანსური კაპიტალის ნაკადების შემცირებასა და, წინა წელთან შედარებით, ნავთობის დაბალ ფასებს უკავშირდებოდა. გასულ წელს ზრდა 6.6%-მდე აჩქარდა, რაც დიდწილად მონეტარული შემსუბუქების შედეგია.

2023 წელს საქართველოს ეკონომიკა 7.5%-ით გაიზარდა. გასული წლის ეკონომიკურმა ზრდამ 9.5% შეადგინა. ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი საფინანსო საქმიანობების, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების, ტრანსპორტისა და დასაწყობების, ვაჭრობის, ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორებმა შეიტანა. კლება დაფიქსირდა დამამუშავებელ მრეწველობაში.

2023 წელს სომხეთის ეკონომიკა 9.8%-ით გაიზარდა. 2024 წელს, წინა პერიოდთან შედარებით, ეკონომიკა 8%-ით გაფართოვდა. სომხეთის ეკონომიკურ ზრდაში განსაკუთრებულ როლს სავაჭრო სექტორი თამაშობს, რომელმაც ამ პერიოდში 17%-ით მოიმატა, სამშენებლო დარგმა კი - 14.5% -ით. სოფლის მეურნეობაში ზრდა 1.6% იყო.

რეგიონში ზრდის ყველაზე დაბალი ტემპი აზერბაიჯანში დაფიქსირდა. 2023 წელს აზერბაიჯანის ეკონომიკა 1.1%-ით გაიზარდა. გასული ზრდამ 4.1% შეადგინა. აზერბაიჯანის ეკონომიკის 33.6%-ს ნავთობისა და გაზის ინდუსტრია იკავებს. ამ ინდუსტრიის გარეშე, ზრდის ტემპმა 6.2% შეადგინა. სოფლის მეურნეობა 1.5%-ით გაფართოვდა.



ინფლაციის მაჩვენებელი კავკასიის რეგიონში, ძირითადად, ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს იმეორებს. საუკეთესო მდგომარეობა სომხეთშია, ხოლო ფასების დონის ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებელი აზერბაიჯანში დაფიქსირდა.

2024 წელს საქართველოში ინფლაციის ტემპი, წინა წელთან შედარებით, შემცირდა. 2025 წლის იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 2% შეადგინა. იანვრის ინფლაციაში მაღალი წვლილი სტუმარ-მასპინძლობის სექტორის ფასებმა შეიტანა, რომელიც 6.8% -ით გაიზარდა. თუმცა, რიგ სექტორებში ფასების კლება დაფიქსირდა, მათ შორის, კავშირგაბმულობის ფასები ყველაზე მეტით, 12.5%-ით შემცირდა. ამ ფონზე, ცენტრალურმა ბანკმა, ბოლო გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 8%-ზე შეინარჩუნა.

რეგიონში ფასების დინამიკით სომხეთი გამოირჩეოდა. 2025 წლის იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდა 1.7% იყო. ყველაზე მაღალი, 7.8%-იანი ზრდა განათლების სექტორში დაფიქსირდა, ხოლო 2.6%-იანი კლება - ტანსაცმლის ფასებზე. სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება 2023 წელს დაიწყო. ბოლო გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 6.75%-მდე შემცირდა.

აზერბაიჯანში ინფლაცია აჩქარდა. 2025 წლის იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 5.4% შეადგინა. დეკემბერში ეს ნიშნული 4.9% იყო. აზერბაიჯანი რეგიონში შედარებით მაღალი ინფლაციით წინა პერიოდებში გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი პოლიტიკის გამკაცრებისგან თავს იკავებდა. იანვარში მიღებული გადაწყვეტილებით, პოლიტიკის განაკვეთი 7.25%-ზე შენარჩუნდა.